


ფინანსური ანგარიშგება და

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების
კომპილაციის შესახებ

შპს “სიფუდ გრუპ თელავი”

31 დეკემბერი 2024



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანთ თორნტონ
ს/ნ 200136600
ქეთევან წამბულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
I/N 200136600
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „სიფუდ გრუპ თელავი“-ს ხელმძღვანელობას

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „სიფუდ გრუპ თელავი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) - კომპილაციური გარიგებები - შესაბამისად. ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სტანდარტის (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

რადგან ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თქვენ მიერ ანგარიშგების მოსამზადებლად წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის გადამოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი




29 სექტემბერი 2025 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	412,575	348,461
არამატერიალური აქტივები	5	1,555	1,141
		414,130	349,602
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	6	683,476	954,462
გადახდილი ავანსები	7	1,995,811	1,918,016
მარაგები		3,023,388	1,409,827
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	139,205	211,264
		5,841,880	4,493,569
სულ აქტივები		6,256,010	4,843,171
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვი			
საწესდებო აპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება		4,318,226	3,086,055
		4,318,226	3,086,055
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		47,293	-
გადასახადები		108,921	141,192
მოკლევადიანი სესხები	9	938,769	1,414,018
სავაჭრო ვალდებულებები		56,069	60,855
		1,151,052	1,616,065
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	786,732	141,051
		786,732	141,051
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,256,010	4,843,171

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს, შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი
 ალექსი იობაშვილი

გენერალური დირექტორი
 ნინო მეზურიშვილი



თანდართული შენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	მენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი		23,586,625	21,954,881
საქონლის თვითღირებულება		(21,084,041)	(20,152,103)
საერთო მოგება		2,502,584	1,802,778
ხელფასის ხარჯი		303,398	260,572
მივლინებისა და ტრანსპორტირების ხარჯები		12,306	17,708
საკონსულაციო და სხვა მომსახურების ხარჯები		19,000	19,000
ცვეთა და ამორტიზაცია		43,831	40,463
საიჯარო და კომუნალური ხარჯები		389,718	219,748
საწვავი		66,192	64,236
გადასახადები		4,660	7,381
კავშირგაბმულობა		4,583	4,639
ბანკის ხარჯები		14,065	14,599
რემონტის ხარჯები		72,047	49,070
სხვა ხარჯები		21,560	32,070
სულ საოპერაციო ხარჯები		951,360	729,486
ფინანსური შემოსავალი		(10,296)	43,338
პროცენტის ხარჯი	9	(136,803)	(91,507)
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(102,573)	(20,649)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,301,552	1,004,474
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		1,301,552	1,004,474

თანდართული მენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	173,500	2,372,779	2,546,279
მოგება წლის განმავლობაში	-	1,004,474	1,004,474
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,004,474	1,004,474
კაპიტალის შევება	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(173,500)	-	(173,500)
დივიდენდები	-	(291,198)	(291,198)
ტრანზაქციები მფლობელებთან	(173,500)	(291,198)	(464,698)
2023 წლის 31 დეკემბერი	173,500	3,086,055	3,086,055
მოგება წლის განმავლობაში	-	1,301,552	1,301,552
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,301,552	1,301,552
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდები	-	(69,381)	(69,381)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(69,381)	(69,381)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	4,318,226	4,318,226

თანდართული შენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფული საქონლის რეალიზაციიდან		28,068,874	25,489,569
ფული სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		213,071	64,363
მიღებული ავანსები		50,024	90,181
ხელფასი		(238,440)	(203,980)
გადახდილი ავანსები		(15,571,166)	(15,408,282)
საქონლის შეძება		(7,454,791)	(6,481,806)
ფ/პ მომსახურების ანაზღაურება		(31,379)	(23,752)
კონსულტაციის ხარჯები		(22,420)	(22,420)
საწვავი		(82,928)	(77,339)
მივლინება		(13,225)	(17,708)
კომუნალურები		(47,604)	(57,368)
რემონტის ხარჯები		(38,775)	(23,281)
კომუნიკაციის ხარჯები		(5,428)	(5,447)
ადმინისტრაციული ხარჯები		(25,762)	(14,199)
გადასახადები		(4,240,190)	(3,440,991)
სხვა გადახდები		(22,800)	(21,644)
ბანკის ხარჯები		(14,065)	(14,594)
იჯარა		(391,418)	(189,947)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		578,610	(358,645)
<u>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</u>			
ფული გადახდილი ძირ. საშ. შესაძენად		(87,275)	(10,071)
მიღებული ფული გრანტებიდან			
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(87,275)	(10,071)
<u>ფული ფინანსური საქმიანობიდან</u>			
კაპიტალის შემცირება			(173,500)
სესხის დაფარვა		(6,038,532)	(782,112)
სესხის მიღება		6,143,088	1,814,852
გადახდილი პროცენტი		(140,837)	(93,889)
გადახდილი დივიდენდი		(65,912)	(276,638)
ფული ფინანსური საქმიანობიდან		(102,193)	488,713
<u>ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა / (კლება)</u>		389,142	119,997
ფული საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		211,264	101,282
კურსთა შორის სხვაობა		(21,120)	(10,015)
ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს	8	139,205	211,264

თანდართული შენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	412,575	348,461
არამატერიალური აქტივები	5	1,555	1,141
		414,130	349,602
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	6	683,476	954,462
გადახდილი ავანსები	7	1,995,811	1,918,016
მარაგები		3,023,388	1,409,827
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	139,205	211,264
		5,841,880	4,493,569
სულ აქტივები		6,256,010	4,843,171
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვი			
საწესდებო აპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება		4,318,226	3,086,055
		4,318,226	3,086,055
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		47,293	-
გადასახადები		108,921	141,192
მოკლევადიანი სესხები	9	938,769	1,414,018
სავაჭრო ვალდებულებები		56,069	60,855
		1,151,052	1,616,065
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	786,732	141,051
		786,732	141,051
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,256,010	4,843,171

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს, შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ალექსი იობაშვილი	ლია მეზვრიშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი		23,586,625	21,954,881
საქონლის თვითღირებულება		(21,084,041)	(20,152,103)
საერთო მოგება		2,502,584	1,802,778
ხელფასის ხარჯი		303,398	260,572
მივლინებისა და ტრანსპორტირების ხარჯები		12,306	17,708
საკონსულაციო და სხვა მომსახურების ხარჯები		19,000	19,000
ცვეთა და ამორტიზაცია		43,831	40,463
საიჯარო და კომუნალური ხარჯები		389,718	219,748
საწვავი		66,192	64,236
გადასახადები		4,660	7,381
კავშირგაბმულობა		4,583	4,639
ბანკის ხარჯები		14,065	14,599
რემონტის ხარჯები		72,047	49,070
სხვა ხარჯები		21,560	32,070
სულ საოპერაციო ხარჯები		951,360	729,486
ფინანსური შემოსავალი		(10,296)	43,338
პროცენტის ხარჯი	9	(136,803)	(91,507)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(102,573)	(20,649)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,301,552	1,004,474
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		1,301,552	1,004,474

თანდართული შენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	173,500	2,372,779	2,546,279
მოგება წლის განმავლობაში	-	1,004,474	1,004,474
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,004,474	1,004,474
კაპიტალის შევსება	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(173,500)	-	(173,500)
დივიდენდები	-	(291,198)	(291,198)
ტრანზაქციები მფლობელებთან	(173,500)	(291,198)	(464,698)
2023 წლის 31 დეკემბერი	173,500	3,086,055	3,086,055
მოგება წლის განმავლობაში	-	1,301,552	1,301,552
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,301,552	1,301,552
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდები	-	(69,381)	(69,381)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(69,381)	(69,381)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	4,318,226	4,318,226

თანდართული შენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფული საქონლის რეალიზაციიდან		28,068,874	25,489,569
ფული სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		213,071	64,363
მიღებული ავანსები		50,024	90,181
ხელფასი		(238,440)	(203,980)
გადახდილი ავანსები		(15,571,166)	(15,408,282)
საქონლის შეძება		(7,454,791)	(6,481,806)
ფ/პ მომსახურების ანაზღაურება		(31,379)	(23,752)
კონსულტაციის ხარჯები		(22,420)	(22,420)
საწვავი		(82,928)	(77,339)
მივლინება		(13,225)	(17,708)
კომუნალურები		(47,604)	(57,368)
რემონტის ხარჯები		(38,775)	(23,281)
კომუნიკაციის ხარჯები		(5,428)	(5,447)
ადმინისტრაციული ხარჯები		(25,762)	(14,199)
გადასახადები		(4,240,190)	(3,440,991)
სხვა გადახდები		(22,800)	(21,644)
ბანკის ხარჯები		(14,065)	(14,594)
იჯარა		(391,418)	(189,947)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		578,610	(358,645)
<u>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</u>			
ფული გადახდილი ძირ. საშ. შესაძენად		(87,275)	(10,071))
მიღებული ფული გრანტებიდან			
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(87,275)	(10,071)
<u>ფული ფინანსური საქმიანობიდან</u>			
კაპიტალის შემცირება		-	(173,500)
სესხის დაფარვა		(6,038,532)	(782,112)
სესხის მიღება		6,143,088	1,814,852
გადახდილი პროცენტი		(140,837)	(93,889)
გადახდილი დივიდენდი		(65,912)	(276,638)
ფული ფინანსური საქმიანობიდან		(102,193)	488,713
<u>ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(კლება)</u>		389,142	119,997
ფული საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		211,264	101,282
კურსთა შორის სხვაობა		(21,120)	(10,015)
ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს	8	139,205	211,264

თანდართული შენიშვნები 8-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სიფუდ გრუპ თელავი“ დაარსდა 2012 წლის 25 იანვარს. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით, საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, საკვები ზეთებით და ცხიმებით, საბითუმო ვაჭრობა ხორცი და ხორცის პროდუქტებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია ალექსი იობაშვილი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და აგრეთვე კომპანიის მოქმედი დირექტორი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტური მისამართია : საქართველო, ქ.თელავი, სოფ.კისისხევი.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის განმავლობაში იყო 21 თანამშრომელი. (2023: 21 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიამ მსს ფასს-ის საფუძველზე პირველად ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის თარიღისთვის.

2.2 მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბრისთვის ერთი ამერიკული დოლარი შეადგენს 2.6894 ლარს, ერთი ევრო 2.9753 ლარს). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით

წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია.

შენობა ნაგებობები	- 30 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	- 8 -15 წელი;
მანქანა დანადგარები	-7-18 წელი;
კომპიუტერები და ელ.ტექნიკა	-2-12 წელი;
ავიჯი და ინვენტარი	-3-15 წელი;

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა), რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის საფუძველზე, შესაბამისად:

პროგრამული უზრუნველყოფა -5-12 წელი.

3.4 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურების აღრიცხვა ხდება შემდეგნაირად, ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რომ დადგინდეს არსებობს თუ არა, რაიმე ნიშანი ბალანსზე არსებული აქტივების შესაძლო გაუფასურებისა. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდაროთ მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

ანალოგიურად ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება შეფასება თითოეული ერთეულის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება, რომელიც მოიცავს შემდეგს, საბალანსო ღირებულებების შედარება ხდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ

გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრება იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივების (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორც ის იმყოფება.

ორგანიზაციის ძირითად სასაქონლო მატერიალურ მარაგებს წარმოადგენს შემდეგი დასახელების საქონელი:

- ქათმის ასორტი;
- თევზის ასორტი;
- კარაქების და სპრეების ასორტი;
- ხორცის ასორტი;
- ნახევარფაბრიკატები;
- სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადანაღების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადანაგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

3.7 გადახდილი და მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 იჯარა

იჯარა, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული და მიღებული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. კომპანიის საიჯარო ხარჯი ფიქსირებულია ჩვეულებრივი იჯარის სახით.

3.9 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია მფლობელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი სრულად შევსებულია ფულადი სახით.

დაგროვილი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგრის მოდელის (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად (საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული მოდელის გამოყენების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

როდესაც დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.13 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. კომპანიის მიერ ხდება შემდეგი სახეობის გაყიდვითი საქონლის რეალიზაცია:

- ქათმის ასორტი;
- თევზის ასორტი;
- კარაქების და სპრედების ასორტი;
- ხორცის ასორტი;
- ნახევარფაბრიკატები;
- სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები.

შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახდის, დეკლარაციების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

საქონლის გაყიდვა

შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისას, როდესაც კლიენტი ადასტურებს საქონლის მიღებას. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების თანხით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	მენობა- ნაგებობები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა- დანადგარები სხვა	სულ
ღირებულება					
2023 წ. 1 იანვარი	44,930	215,477	33,602	349,979	643,988
შემოსვლა	-	-	2,164	8,752	10,916
გასვლა	-	-	-	-	-
2023 წ. 31 დეკემბერი	44,930	215,477	35,766	358,731	654,904
შემოსვლა	-	-	5,691	101,883	107,574
გასვლა	-	-	-	-	-
2024 წ. 31 დეკემბერი	44,930	215,477	41,457	460,614	762,478
დაგროვილი ცვეთა					
2023 წ. 1 იანვარი	-	36,532	21,268	208,580	266,380
წლის ცვეთა	-	7,183	3,831	29,049	40,063
2023 წ. 31 დეკემბერი	-	43,715	25,099	237,629	306,443
წლის ცვეთა	-	7,183	3,969	32,309	43,461
2024 წ. 31 დეკემბერი	-	50,898	29,068	269,938	349,903
საბალანსო ღირებულება					
2023 წ. 31 დეკემბერი	44,930	171,762	10,667	121,102	348,461
2024 წ. 31 დეკემბერი	44,930	164,580	12,389	190,676	412,575

5 არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა
ღირებულება	
2023 წ. 1 იანვარი	4,797
შემოსვლა	-
2023 წ. 31 დეკემბერი	4,797
შემოსვლა	785
2024 წ. 31 დეკემბერი	5,582
დაგროვილი ცვეთა	
2023 წ. 1 იანვარი	3,256
წლის ცვეთა	400
2023 წ. 31 დეკემბერი	3,656
წლის ცვეთა	370
2024 წ. 31 დეკემბერი	4,026
საბალანსო ღირებულება	
2023 წ. 31 დეკემბერი	1,141
2024 წ. 31 დეკემბერი	1,556

6 სავაჭრო მოთხოვნები

ბალანსში ასახული მთლიანი მოთხოვნის თანხა წარმოშობილია მომხმარებლების მიერ საქონლის შეძენის შედეგად. ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია და დენომინირებულია ლარში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნები სრულად ამოღებადია და ამდენად არ არის საჭირო საექვო ვალების რეზერვის შექმნა.

მოთხოვნების ამოღების საშუალო პერიოდი არის 12 თვე.

7 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები მოიცავს ძირითადად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს, რომელიც შეთანხმებების საფუძველზე ექვემდებარებოდა საქონლის მოწოდებამდე გადახდას. გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მისაღები სასაქონლო-მატერიალური მარაგების პერიოდი არის მაქსიმუმ 12 თვე.

8 ფული და ფულადი ექვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული	288	169,137
ფული ბანკში	138,916	42,127
სულ	139,205	211,264

9 სესხები

კომპანიის მოკლე ვადიანი სესხები დენომინირებულია დოლარში. კომპანიის 4 გრძელვადიანი სესხებიდან 3 დენომინირებულია აშშ დოლარში, ხოლო ერთი ევროში.

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი სესხები	938,769	1,414,018
გრძელვადიანი სესხები	786,732	141,051
სულ სესხები	1,725,501	1,555,069

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ვადები და პირობები იყო შემდეგნაირი:

ლარი	ვალუტა	ვადიანობა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხები:				
ბანკი- სესხი 1	ლარი	1 წელი	200,000	-
ბანკი- სესხი 2	აშშ	1 წელი	258,073	-
ბანკი- სესხი 3	აშშ	1 წელი	-	403,411
ბანკი- სესხი 4	აშშ	2 წელი	-	470,645
ბანკი- სესხი 5	აშშ	2 წელი	-	29,333
ბანკი- სესხი 6	აშშ	1 წელი	480,696	-
ბანკი- სესხი 7	აშშ	1 წელი	-	53,174
ბანკი- სესხი 8	ევრო	2 წელი	-	58,543
ბანკი- სესხი 9	აშშ	2 წელი	-	268,940
ბანკი- სესხი 10	ლარი	2 წელი	314,305	-
ბანკი- სესხი 11	ლარი	2 წელი	154,270	-
ბანკი- სესხი 12	ლარი	4 წელი	318,157	-
დამფუძნებლის სესხი	ლარი	1 წელი	-	150,000
დამფუძნებლის სესხი	აშშ	1 წელი	-	121,023
არაუზრუნველყოფილი სესხები:				
			1,725,501	1,555,069

სესხების ნაშთებში მოძრაობის დეტალები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ლარი	2024 წელი	2023 წელი
ნაშთი წლის დასაწყისში	1,555,069	513,322
<i>პლუს:</i>		
ახალი სესხის აღება	6,143,088	1,814,852
პროცენტის დარიცხვა	136,803	91,507
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	69,910	11,389
<i>მინუს:</i>		
სესხის ძირის დაფარვა	6,038,532	782,112
სესხის პროცენტის დაფარვა	140,837	93,889
ნაშთი წლის ბოლოს	1,725,501	1,555,069

10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

11 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას მისი 100%-იანი დამფუძნებელისგან 2024 წლის საანგარიშო პერიოდში დაფარული აქვს სესხები, რომლებიც აღებული ქონდა 2023 წლის საანგარიშო პერიოდში. დაფარულმა სესხმა ჯამურად შეადგინა 271,023 ლარი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის დოლარში დენომინირებული სესხებიდან და დოლარში და ევროში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებებიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასახეო ვალდებულება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის მოკლევადიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის მოკლევადიან ვალდებულებებს და ფულადი სახსრებისა და დებიტორული მოთხოვნების ჯამი სრულიად ყოფნის და მნიშვნელოვნადაც აღემატება მოკლევადიანი ვალდებულებების თანხას, შესაბამისად კომპანიას ლიკვიდურობის კარგი მაჩვენებელი აქვს.